საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7553
08/09/2023

7553-21-2-202309081101

**შპს „ასკანგელ ალიანსს“**
**მის:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. დვაბზუ
**ელ. ფოსტა:** i.ninidze@askangel.ge

**ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს**

**სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს**

თქვენი №8272 სკრინინგის განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვაბზუში არსებული სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (ბენტონიტური თიხების გადამუშავება) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, გაცნობებთ შემდეგს:

თქვენი განცხადება წარმოდგენილია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, რომლის თანახმად, **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით** გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

როგორც თქვენთვის ცნობილია 2017 წლის 14 მარტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვაბზუში შპს „ასკანგელ ალიანსის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (ბენტონიტური თიხების გადამუშავება) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია №12 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებული იყო 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოეთხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, 48-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობისთვის

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, პირი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი პროცედურის შესაბამისად მიმართოს სააგენტოს და მიიღოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

შესაბამისად, ვინაიდან სოფ. დვაბზუში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (ბენტონიტური თიხების გადამუშავება) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე შპს „ასკანგელ ალიანსის“ საქმიანობაზე ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაცემული არ არის, გთხოვთ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების შესაბამისად, მომართოთ სააგენტოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ხოლო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, უზრუნველყოთ განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენა.

აღნიშნული საკითხის დაზუსტებამდე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა